სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 613
(ოქმი # 534

თბილისი 2025 წლის 24 ნოემბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის შედეგების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის 1-ლი პუნქტის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 24.10.2025წ. №612 (ოქმი №533) გადაწყვეტილება) და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის (დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 24.10.2025წ. №612 (ოქმი №533) გადაწყვეტილებით) თანახმად,

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატს - ანი კეკუას მიეცეს დისკვალიფიკაცია მისი კანდიდატურის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან (მუხლი 35^{10}) შეუსაბამობის გამო.
2. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს” დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის 1-ელ ტურში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად კანდიდატმა - აკაკი ბერიძემ მიიღო სამეურვეო საბჭოს წევრთა 0 ხმა.
3. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით ღია კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე	ზაზა აბაშიძე
თამილა დოლიძე	ლიკა ბასილაია-შავგულიძე
სოსო სტურუა	ბონდო მძინარაშვილი
გიორგი იაკობიშვილი	იზაბელა ოსიპოვა
	ლაშა ტუღუში